


(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

10 აპრილი, სამშაბათი, 1990 წ.
№ 67 (10 236) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# დღე ტკივილისა და დღე იმედისა

### რეპორტაჟი

**ამწლევანდელმა** გაზაფხულმა თბილისში, როგორც ყოველთვის, აურაცხელი ყვავილი მოაზღვავა. მაგრამ ამჯერად ყვავილებს ერთმანეთს კი არ ვჩუქნით, არამედ მიგვაქვს იმ ადგილას, სადაც 9 აპრილის ტრაგიკულ გარიჟრაჟზე სიცოცხლეს გამოასალმეს ჩვენი გოგონები, რომლებსაც დედობა ვერ ეღირსათ, გამოასალმეს ოჯახის მამები, რომლებსაც შვილების ფეხზე დაყენება არ დასცალდათ, გამოასალმეს ბებიები, რომლებმაც ვერ მოასწრეს დაელოცათ შვილიშვილები, სანამ მარადისობის გზას დაადგებოდნენ.

ასეთი საზრუნავი მოგვიტანა ახლანდელმა გაზაფხულმა. მივაგოთ პატივი წასულთა ხსოვნას — ეს ჩვენი წმიდათაწმიდა ვალია, წინაპრებმა რომ გვიანდერძეს. მაგრამ რა ვუყოთ ტკივილს, მთელ ტანში რომ გვივლის იმის გაფიქრებაზე, რომ ამ შემზარავი ავკაცობის ჩამდენთ ადამიანებს უწოდებენ, როგორ გინდა, დაიოკო დარდი, ბურთივით რომ გაგჩხერია ყელში, როდესაც ფიქრობ, რომ ყოველივე ეს შეიძლებოდა არც მომხდარიყო, შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა.

მაგრამ მოხდა... და ახლა ჩვენ სევდასთან ერთად გვეძალება გრძნობა განსაკუთრებული პასუხისმგებლობისა მომავალ თაობათა წინაშე. რით უნდა ვიმართლოთ თავი მათ წინაშე? თავის გამართლებას, რა თქმა უნდა, შევძლებთ, მაგრამ, ვაი, რომ, თავისმართლება ვერარას უშველის შეწირულთ. აი, რა აზრი აწვალებს დღეს ყოველ ჩვენგანს, და ამას ვერსად წაუხვალ!

ისტორიულ ბედუკუღმართობას დიდი ხანია მივეჩვიეთ, ვინ მოთვლის თანამემამულეებს, თავი რომ გასწირეს წმინდა სამების — ენის, მამულის, სარწმუნოებისათვის ბრძოლაში. მძიმე ხვედრი ხვდა წილად ჩვენს თაობას — აღადგინოს და აღორძინოს ფეხქვეშ გათელილი თავისუფლებისა და სამართლიანობის იდეალები. ეს ჩვენი ვალია და ჩვენვე უნდა გავისტუმროთ. ცხრა აპრილის დამდეგს ვესტუმრეთ ერთ ძველ თბილისურ სახლს. ამ სახლის კარი არასდროს არ იკეტება, განაგრძობს პატრონის ტრადიციას, რომელსაც სულ რამდენიმე თვის წინ გამოეთხოვა სრულიად საქართველო და ღირსეულად შერაცხა იგი ეროვნულ გმირად. „ერთი შვილ მაინც გავზარდე ვეფხვებთან შერმარია..." — ეს სიტყვები უნებლიედ გაგვახსენდა, როდესაც გმირის დედა — ოლღა დემურია-კოსტავა გველაპარაკებოდა არა უსაყვარლესი შვილის დაღუპვით გამოწვეულ გულისტკივილზე, არამედ იმაზე, თუ როგორ ისხამს ხორცს მერაბის წმინდა იდეები, იკვალავს გზას ასიათასობით მამულიშვილის, ყველა იმათგანის გულსა და გონებაში, ვინც უფრთხილდება წინაპართა დანაბარებს, მშობელი მიწა-წყლის მომავალს.

— საბედისწერო ავტოკატასტროფამდე სულ ორი კვირით ადრე, — თქვა დედამ, — მერაბი სიამაყით მეუბნებოდა; ამაოდ არ მიცხოვრია, მთავარი მიღწეულია — ჩემ ხალხს თვალი აეხილა და უკვე გადადგა ნაბიჯი საკუთარი მიზნისაკენ, ეს კი ნიშნავს, რომ უდავოდ მიაღწევს ამ მიზანს — დაიბრუნებს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, რადაც უნდა დაუჯდეს. მე კი, მადლობა ღმერთს, ნახევარი საუკუნე გავლიეო. წუთუ გული უგრძნობდა... მე, როგორც დედა, მადლიერი ვარ ყველასი, ვინც ჩემი ვაჟის საქმეს განაგრძობს, მას ძალიან უყვარდა ყველა, და დღეს ხალხი ასკეც უფასებს ამ სიყვარულს. არავინ მაგრძნობინებს მარტოობას, უმერაბობას, მის საქმეს განაგრძობენ მისი მეგობრები და თანამოაზრეები, მე მერაბს ვხედავ მათს ქველსა და კეთილშობილურ საქმეებსა და საქციელში.

დიახ, ბევრს აოცებდა მერაბ კოსტავა. იგი ამჯერადაც მოვიდა აპრილის ტრაგედიის წლისთავზე. მხატვრის სახლის ფასადიდან მერაბს კეთილი და მტკიცე მზერა მიეპყრო მოედნისათვის, სადაც სამგლოვიარო დღის დამდეგს დილიდანვე უწყვეტ ნაკადად ყოველი კუთხიდან მოედინებოდა ხალხი. ხოლო შუაღამისას ამ პატარა მოედანმა თითქოს ყველა თბილისელი, ქვეყნის ყველა მხრიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოსული ყველა სტუმარი დაიტია. ისინი აქ მოიყვანა დაღუპულთა ხსოვნამ, სურვილმა — ერთხელ კიდევ დაეგმოთ ბოროტება და ძალადობა, ერთსულოვნად ეთქვათ, რომ მზად არიან დაამკვიდრონ სიკეთე, სამართლიანობა, სიყვარული, სიქველე — თვისებები, ადამიანის ღირსების საფუძველსა და საწყაოს რომ შეადგენს.

შუაღამეა. ორი კელაპტრის ნათელი ასხივოსნებს მთავრობის სახლთან სახელდახელოდ აღმართული ტრიბუნის თავზე წარწერილ ჯადოსნურ სიტყვებს: ენა, მამული, სარწმუნოება, ირგვლივ დროშების, ტრანსპარანტების, ყვავილების ზღვა გარინდულა...

ის. მე.2 ვე



# საერთო ნებით, საერთო სულისკვეთებით

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გივი გუმბარიძის გამოსვლა ტელევიზიით 1990 წლის 7 აპრილს**

**ძვირფასო მეგობრებო!**

9 აპრილი ეროვნული გლოვის დღეა მთელ საქართველოში. წელიწადი გავიდა იმ საბედისწერო დღიდან, რომელიც ყოველთვის დარჩება ჩვენი ხალხის მეხსიერებაში. მოხდა უმძიმესი ტრაგედია, დაიღუპნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანები, ჩვენი შვილები, დები, ძმები, დედები, რომელთაც უსაზღვროდ უყვარდათ სამშობლო, სიცოცხლეზე უფრო მეტად უფრთხილდებოდნენ მის მთლიანობას, სურდათ იგი თავისუფალი, განახლებული, წელგამართული ენახათ. დღეს კიდევ ერთხელ გვინდა ღრმა, ადამიანური სამძიმარი ვუთხრათ დაღუპულთა ოჯახებს, მშობლებს, ახლობლებს, ნათესავებს, მეგობრებს, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლოსათვის მსხვერპლად შეწირულთა სახელები. სამძიმარი ვუთხრათ ყველას, ვისთვისაც მოუშუშებელ იარად დარჩა 9 აპრილის ტრაგედია.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როგორი ძლიერი ყოფილა ჩვენი ხალხი, ჩვენი ერი, კიდევ ერთხელ გამოჩნდა მისი სულის სიმაღლე, გაუტეხელობა, კეთილშობილება.

საბედნიეროდ, ბევრი გვყოლია საქართველოზე, ქართველ ხალხზე შეყვარებული ადამიანი, სხვადასხვა ერის ღირსეული შვილები, რომლებიც ღრმად სცემენ პატივს ჩვენს ხალხს, მის მრავალსაუკუნოვან იდეალებს და მისწრაფებებს. გაჭირვების ჟამს ჩვენ გვამხნევებდა მათი მხარდაჭერა, ჩვენი სატკივარის გაზიარება, ჭეშმარიტებისათვის, სამართლიანობისათვის ბრძოლაში თანადგომა. კიდევ ერთხელ გვინდა დღეს გულითადი მადლობის სიტყვებით მივმართოთ ყველა მათგანს. ჭირსა შიგან გამაგრება ყოველთვის იყო ჩვენი ხალხის, საქართველოს გამორჩეული, უმთავრესი თვისება. ჩვენი ერი არასდროს არ მისცემია სასოწარკვეთილებას, მას არასდროს არ შეუქცევია ზურგი ცხოვრებისათვის, იმედი არ დაუკარგავს ნათელი მომავლისა. დღესაც ასეა.

ასეთი ნათელი მომავლის იმედით და რწმენით ცხოვრობს ყველა ჩვენგანი, რამეთუ დღეს ჩვენ გვჯერა, რომ თანადგომით, ერთმანეთის მხარდაჭერით, საერთო ნებით რეალისტურად განვსაზღვრავთ ჩვენი წინსვლის ჭეშმარიტ გზებს. იოლი არ იქნება ეს გზა. ბევრი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ზნეობრივი პრობლემის გადაწყვეტა მოგვიწევს. ჩვენს ერს სავსებით ხელეწიფება ეს. ამ სულისკვეთებით უნდა განვიმსჭვალოთ ყველანი, ასევე უნდა ვუზრდიდეთ სამშობლოს ჩვენს მომავალ თაობას.

# დღე ტკივილისა და დღე იმედისა

(დასასრული)

ქაშვეთიდან გაბმით გუგუნებენ ზარები...

ბზობა — ქრისტიანთა დიდი დღესასწაული — უკანასკნელ წუთებს ითვლის...

და ამ შუაღამეს, გლოვის ღამეს მოულოდნელად უერთდება თითქოს ციდან მოვლენილი ომახიანი მრავალჟამიერი. ისეთი შთაბეჭდილება გეუფლება, თითქოს წინაპარნი ლოცავენო ამ საგალობლით მოედანზე შეკრებილთ.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები ირაკლი წერეთელი, ზვიად გამსახურდია, გიორგი ჭანტურია, ირაკლი ბათიაშვილი, ირაკლი შენგელაია და სხვები, მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლები, ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის დესპანები. გამოსულებმა გამოთქვეს თავიანთი დამოკიდებულება მომხდარი ტრაგედიისადმი და გულისწყრომით დაგმეს დამსჯელი აქცია, რომელიც მარტოოდენ მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ კი არ იყო მიმართული, არამედ მიზნად ისახავდა ჩანასახშივე მოეშთო დემოკრატია.

ამგვარი მოქმედება, კანონის თანახმად, სისხლის სამართლის დანაშაულია და ისჯება. აკი გამოიტანეს კიდეც მის გამო დასკვნა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის შესაბამისმა კომისიებმა. მაგრამ კონკრეტული დამნაშავენი ჯერაც ვილაცის კალთას ამოფარებულან.

მიტინგზე სხვადასხვა ორატორის გამოსვლა ერთმანეთს შეერწყა და გაისმა ერთსულოვან ფიცად — არ დაიხიონ უკან ბოროტებისა და ძალმომრეობის წინაშე. ისმოდა მგზნებარე მოწოდებები ჭეშმარიტი დემოკრატიის დასამკვიდრებლად, რომლის ერთგულება კვლავ დაადასტურა სსრ კავშირის პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა თავისი მიმართვით, თბილისის ტრაგედიის წლისთავზე რომ გამოუგზავნა საქართველოს უზენაეს საბჭოსა და მთელ ქართველ ერს.

მიტინგმა განთიადამდე გასტანა. შუადღისას კი იგი კვლავ განახლდა. მიტინგის მონაწილენი გაემართნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბისაკენ, სადაც პროტესტის აქცია მოაწყვეს. გლოვის დღის დამაგვირგვინებელი აკორდი გახდა მრავალათასიანი მანიფესტაცია საქართველოს დედაქალაქის ეროვნულ სტადიონზე.

**ო. ბრიგალაშვილი,**
**ვ. ედიბერიძე,**
**საქინფორმის კორ.**

• • •

**8 და 9 აპრილს** საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში გაიმართა 9 აპრილის ხსოვნის დღესთან დაკავშირებული ღონისძიებები.

ამ დღეს სამგლოვიარო მიტინგები და მანიფესტაციები გაიმართა რესპუბლიკის ყველა რეგიონში. ბევრ ქალაქსა და რაიონში გაიხსნა აპრილის მსხვერპლთა მემორიალი, ჩაიყარა ხეივნები. (საქინფორმი).

# სამი გვირგვინი

**იმ** ავბედით დილას ამ ახოვანმა და მხრებგანიერმა ვაჟკაცმა არაერთი უმწეო არსება გამოსტაცა სიკვდილს. რა იცოდა, რომ თავად ყოფილა განწირული. მას ჯარისკაცის მიერ უკნიდან მოქნეულმა ორლესულმა ხელბარმა სწორედ მაშინ მოუსწრაფა სიცოცხლე, როცა კიდევ ერთი დაჭრილი გოგონა თუ ქალი სამშვიდობოს უნდა გაეყვანა.

...ვინც ნოდარ ჯანგირაშვილს იცნობდა, მას არ გაუკვირდებოდა, რომ ეს რაინდული სულის, ბრგე ვაჟკაცი განსაცდელის ჟამს სწორედ იქ იყო, თავისი ხალხის გვერდით, რომელიც ასე უყვარდა, რომლის სიჯანსაღესა და ბედნიერ მომავალზეც დღენიადაგ ფიქრობდა.

42 წელი უკვე არც სიყმაწვილის წლებია და არც სიჭაბუკისა, როცა ფერადფერადი ოცნებები იტაცებს და მოსვენებას უკარგავს ადამიანს. მაგრამ ნოდარი ოცნებებით სავსე, იდეებით „დამუხტული" პიროვნება იყო. ვიცოდით, რედაქციაში მის ყოველ გამოჩენას რაღაც ახალი იდეა ან წინადადება უნდა მოჰყოლოდა.

ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ჩვენში საფეხბურთო ლატარიის ჩატარების იდეა ნოდარ ჯანგირაშვილს ეკუთვნის. ლატარიით დანაზოგი თანხა ჩვენს სპორტს, ქართველი ახალგაზრდობის ჯანმრთელობის გაკაჟებას მოხმარდებაო, ხშირად უთქვამს.

გვახსოვს, როგორი აღფრთოვანებული იყო იგი, როცა ჩვენში სპორტის ახალი სახეობა — ტრიატლონი უნდა დანერგილიყო. ეს სახეობა ათასობით ქართველ ყმაწვილს მიიზიდავსო, გვიმტკიცებდა და მთელი გატაცებით მოეკიდა მის დანერგვა-განვითარებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრის გაკეთება ვერ მოასწრო...

ალბათ სიმბოლურია ის სამი გვირგვინი, მისმა კოლეგებმა, თბილისის სპორტკომიტეტის მუშაკებმა (ნოდარ ჯანგირაშვილი წლების განმავლობაში იქ მუშაობდა) მთავრობის სასახლის მოედანზე, მის საფლავზე და სიონის ეკლესიაში რომ მიიტანეს 9 აპრილის წლისთავზე. „სიწმინდე, რაინდობა და სიყვარული" ამოძრავებდა მას და სხვა არაფერი. ამიტომაც ნოდარის სახელს დავიწყება არ უწერია.

**უ. მიქელაძე.**

# გაზაფხულს დავიბრუნებთ

**შარშანდელი** გაზაფხულის მოსვლა არ მახსოვს, არ მახსოვს, როგორ დატრიალდა სითბო, დაიკვირტა და გაიფოთლა ხეები, როგორ გამეფდა სიმწვანე. ნაცნობებსაც ვეკითხებოდი და მათი პასუხი გუმანს მიმართლებდა: არც მათ ახსოვდათ, შარშანდელი გაზაფხული დროს მოჰგლიჯა და შთანთქა 9 აპრილის ტრაგედიამ, რომელიც კიდევ ერთ სისხლიან ნაჭდევად დააჩნდა საქართველოს ისტორიას.

შარშანდელი გაზაფხული წაგვართვეს. ტკივილი განუზომლად დიდია: ოცი სიცოცხლე, მრავალი დაჭრილი და დაშავებული. ცალკე — ჩაწიხლული თავმოყვარეობა... დღეს და მთელი წელია ვგლოვობთ მამულისთვის შეწირულთ, დაკარგული გაზაფხულის სანაცვლოდ კი უფრო დიდ გაზაფხულს ველით, უფრო დიდი იმედით — 9 აპრილის შემდეგ.

**გიორგი ჩოხიშვილი**

# „მაქაბი" სიცრუის გარეშე

## აუცილებელი განმარტება ერთი „რეპლიკის" გამო

**პლურალიზმის** გამარჯვების ჩვენს დღეებში ყველას უფლება აქვს იქონიოს თავისი აზრი მიმდინარე მოვლენებზე. არაფერი არ არის საკვირველი იმაში, რომ საქართველოში სპორტულ-კულტურული საზოგადოება „მაქაბის" შექმნასთან დაკავშირებით გაზეთ „ლელოში" თავისი თვალსაზრისი ჩამოაყალიბა ისებ იუნაევმა 1990 წლის 31 მარტის შენიშვნაში „თავს ხომ არ იტყუებთ?"

ავტორს, კერძოდ, ეჭვი შეაქვს რესპუბლიკაში ამ ორგანიზაციის შექმნის მიზანშეწონილობაში. იგი ამტკიცებს, რომ საზოგადოება თვალსაჩინოს ვერაფერს შესძენს ქართველთა და ებრაელთა მრავალსაუკუნოვან ერთიანობას. მაგრამ, ურიგო არ იქნება იუნაევს შევახსენოთ, რომ ძველი ოლიმპიადების დაწყების დროიდან სპორტი კი არ თიშავდა, არამედ აახლოებდა ხალხებს. დევიზი „სპორტო — შენ მშვიდობა ხარ!" იშვა ჯერ კიდევ საუკუნეთა წიაღში. სწორედ ამ კეთილშობილური პრინციპით ხელმძღვანელობს თავის საქმიანობაში საქვეყნოდ განთქმული სპორტული კავშირი „მაქაბი", რომელიც 1960 წლიდან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სრულუფლებიანი წევრია.

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა საქართველოში საზოგადოება „მაქაბის" შექმნას. მისი პრეზიდენტი ნონა გაფრინდაშვილი სავსებით გულწრფელი იყო, როცა დამფუძნებელ კონფერენციაზე გამოსვლისას განაცხადა:

— „მაქაბის" შექმნა რესპუბლიკაში საქართველოს სპორტული სუვერენიტეტის მიღწევის გზაზე კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია. საერთაშორისო ასპარეზზე ამ ორგანიზაციის დამოუკიდებელი გასვლა განამტკიცებს ჩვენი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და მთელი ქართული სპორტის პოზიციებს დამოუკიდებლობისათვის მის მოძრაობაში.

და კიდევ. ვისთვის იქნება ცუდი, თუ საქართველოში ამოქმედდება კიდევ ერთი სპორტული საზოგადოება, სადაც ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი ეზიარება ფიზკულტურასა და სპორტს? „მაქაბის" კარი ღიაა ჩვენს რესპუბლიკაში მოსახლე ყველა ადამიანისათვის. ეს განსაკუთრებით არის ხაზგასმული საქართველოს სპორტულ-კულტურული საზოგადოება „მაქაბის" წესდებაში.

„ლელოში" გამოქვეყნებული შენიშვნის ავტორი მართალია იმაში, რომ საზაფხულო და საზამთრო „მაქაბიადებში", რომლებიც ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება, მონაწილეობენ მხოლოდ ებრაული ეროვნების სპორტსმენები. მაგრამ მარტო „მაქაბიადებით" როდი ცოცხლობს ეს საერთაშორისო სპორტული კავშირი, რომელიც ყველა კონტინენტური კონფედერაციის 50-ზე მეტ ქვეყანას აერთიანებს. მისი ეგიდით მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში რეგულარულად ეწყობა დიდი საერთაშორისო ტურნირები ტალკეულ სპორტის სახეობებში. მათში მონაწილეობენ შერეული გუნდები: ებრაელებთან ერთად გამოდიან მკვიდრ ეროვნებათა წარმომადგენლები. და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ეს სპორტსმენები იცავენ იმ ქვეყნის ღირსებას, რომელშიც ცხოვრობენ. ცხადია მკვიდრი და არამკვიდრი ხალხების ასეთი ერთიანობა არ ლახავს მათ მეგობრობას, პირიქით. მაგალითად, ლიტვის საზოგადოება „მაქაბი" უკვე მეორე წელია არსებობს და მას უაღრესად აქტიურად უჭერენ მხარს ლიტველები. ბალტიისპირეთის რესპუბლიკის ამ სპორტული ორგანიზაციის 54 წევრი ღირსეულად წარმოადგენდა მას თელ-ავივში შარშან გამართულ „მაქაბიადაზე". (სხვათა შორის, ლიტვაში ცხოვრობს 15 ათასი ებრაელი, საქართველოში კი თითქმის ათი ათასით მეტი). გამორჩეული სპორტსმენები ლიტვის სპორტსახკომმა დააჯილდოვა საპატიო სიგელებით და სამახსოვრო მედლებით.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ საქართველოში საზოგადოება „მაქაბი" შეიძლებოდა შექმნილიყო ათი, ოცი წლისა და ნახევარი საუკუნის წინათაც, ქართველი ხალხი, რომელთანაც ოცდაექვსი საუკუნის ერთიანობა გვაკავშირებს, ამის წინააღმდეგი სულაც არ იქნებოდა. სხვა საქმეა კონსერვატიული, რეაქციული „ცენტრი". წინათ ასეთი საზოგადოების შექმნის მარტო გაფიქრებისთვისაც კი შეიძლება მრავალი წლით იზოლაციაში მოხვედრილიყავი.

ახლა სხვა დროა. საქართველო ძლევამოსილი ნაბიჯით მიდის თავისი დამოუკიდებლობისაკენ. ამაში მას მხარს უჭერს მრავალი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, მათი ეროვნების მიუხედავად. სწორედ ამიტომაცაა ჩაფიქრებული, რომ „მაქაბი" საქართველოში იყოს დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელმაც უნდა განავითაროს დამოუკიდებელი სპორტული კონტაქტები საერთაშორისო კავშირის მონათესავე წევრ საზოგადოებებთან. იგი შეიქმნა ზუსტად იმ დროს, როცა გაიშალა მოძრაობა საქართველოს სპორტული სუვერენიტეტისათვის. „მაქაბი" სწორედ ამ მიზნებს ემსახურება. შემთხვევითი არ არის, რომ მის შექმნას მხარი დაუჭირა სპორტულმა საზოგადოება „შევარდენმა", რომელიც საქართველოში „მაქაბის" ერთ-ერთი დამფუძნებელი გახდა.

ი. იუნაევის შენიშვნაში არის უზუსტობანი. დამფუძნებელმა კონფერენციამ დაამტკიცა საზოგადოების წესდების არა საბოლოო ვარიანტი, არამედ მისი პროექტი და შეიტანა მასში ცვლილებები და შესწორებები. ამ დროს ი. იუნაევი დარბაზში იყო და ჰქონდა შესაძლებლობა გამოეხატა თავისი პოზიცია. ყურადღებით უსმენდნენ მის ნაამბობს საქართველოს ებრაელთა სპორტული ტრადიციებისა და მიღწევების შესახებ, მაგრამ „საგაზეთო" ვარიანტში ავტორი ხაზს უსვამს, რომ დღეს ებრაული ეროვნების თანრიგოსან სპორტსმენსაც კი ძნელად იპოვით, რომელიც შესძლებდა „მაქაბის" საქართველოში წარმოდგენასო. ამაში იგი ღრმად ცდება და პასუხი უნდა აგოს ახალგაზრდობის წინაშე, რომელიც მას უსმენდა, შემდეგ კი მის საგაზეთო პუბლიკაციას კითხულობდა.

ი. იუნაევის მისამართით ვიტყვით იმასაც, რომ თბილისში უკვე მუშაობს პირველი სექციები კალათბურთსა და ფეხბურთში, აგრეთვე ათლეტურ ტანვარჯიშში, ცურვასა და ჩოგბურთში. სხვათა შორის, ჩვენი მინიფეხბურთელთა გუნდი მონაწილეობდა კაუნასის ტურნირში, რომელიც ლიტვის „მაქაბიმ" გამართა. ასე რომ, ნუ გადაუწურავთ იმედს იმათ, ვისაც კეთილი, საჭირო თაოსნობისა სწამს და ძალ-ღონეს არ იშურებს მისი განხორციელებისათვის. არადა, რა გამოდის: ჯერ საზოგადოება არ მომაგრებულა და უკვე ლანძღავენ.

რაც შეეხება არჩეულ პრეზიდენტს, მისი სახელი კარგად არის ცნობილი რესპუბლიკის სპორტულ წრეებში. იგი საქართველოში რაგბის ჩამოყალიბების ერთ-ერთი პიონერია, რვა წელი გამოდიოდა თბილისის „ლოკომოტივში", არის საკავშირო კატეგორიის მსაჯი. ეს კაცი არის ჩვენში „მაქაბის" საზოგადოების შექმნის ერთ-ერთი თაოსანი და სრულებითაც არ იყო გასაკვირი მისი არჩევა პრეზიდენტად. ალტერნატიული კანდიდატურის წამოყენება თვით საბჭომ არ ჩათვალა საჭიროდ.

**მიხეილ ბენიაშვილი,**
სპორტის ოსტატი,

**შალვა შალოლაშვილი,**
საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი,

**ჯამლეტ ხუხაშვილი,**
სპორტული კომენტატორი,

**იანი გორელოვი,**
საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი,

**აბრამ თეთრაშვილი,**
თბილისის ქართველ ებრაელთა თემის თავმჯდომარე,

**შოთა იაკობაშვილი,**
ქორეოგრაფი, საკავშირო ფესტივალების ლაურეატი.
სულ 22 ხელმოწერა.

# მართვენი ფრთიანდებიან

**ერთი** პირველი, ერთი მეორე და ორი მესამე ადგილი დაიკავეს სპორტსაზოგადოება „მართვეს" კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირში მოსკოვში. გამარჯვება მოიპოვა რომან აფციაურმა (80 კგ), გოჩა მჟავანაძე (39) მეორე ადგილზე გავიდა, მერაბ ნოზაძე (42) და ერიკ ხაჩატუროვი (56) — მესამეზე.

გაცილებით მეტი ჯილდო მოიპოვეს „მართვეს" თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა, ოღონდ — საკავშირო პირველობაში, რომელიც რიგაში გაიმართა. იქ პირველი ადგილები დაიკავა შვიდმა თბილისელმა. ესენი არიან: რ. მაჭავარიანი (43 კგ), დ. ბიჩინაშვილი (51), ვ. გონიაშვილი (55), გ. ხაბელაშვილი (65), დ. მუზაშვილი (70), ნ. კახნიაშვილი (75) და ი. სულთანიშვილი (83). მეორე ადგილებზე გავიდნენ ზ. მაკოევი (51 კგ), დ. ფერაძე, ი. ლეკიაშვილი (70 კგ, სამივე — თბილისი) და ვანელი კ. ტყეშელაშვილი (75), მესამეზე ხაშურელები ა. კობალაძე (75 კგ) და გ. მახარაშვილი (55), თბილისელი გ. წიკლაური (40 კგ). ჩვენს გუნდს ხელმძღვანელობდნენ ს. ჭარბაძე და ს. ნიკოლაძე.

# უდაბნოს ასაღორძინებლად

**შარშან** სოფელ უდაბნოში გაიხსნა კომპლექსური სპორტული სკოლა. სამასკომლიანი სოფლის საშუალო სკოლის 180 მოსწავლე გაერთიანებულია ქართული ჭიდაობის, ძიუდოს, სამბოს და მძლეოსნობის ჯგუფებში. ნატვრა აუხდათ უდაბნოელებს...

— მადლობა ყველას, — ამბობს სპორტსკოლის დირექტორი, წარსულში ცნობილი სპორტსმენი რეზო გულბანი — რომ ყურად იღეს ჩვენი ვედრება და განათლების სამინისტრომ მოგვცა საშუალება ახლად გაცოცხლებულ სოფელში სპორტულ ოსტატობასაც ვაზიაროთ ბავშვები.

უდავოა, რომ გამოცდილი მწვრთნელები ოთარ თამლიანი, კორნელი გირგვლიანი, სპარტაკ მარგიანი და თვითონ რეზო მართლაც კარგ სპორტსმენებს გაუზრდიან სამშობლოს. სტიქიის გამო სვანეთიდან გადმოხვეწილ ბავშვებსა და მათ მშობლებს უდაბნოში ადრე დასახლებულნი რაჭიდან და იმერეთიდან ჩამოსულნი დაზარალებულ სვანებს გულთბილად დახვდნენ, მესამე ზამთარი გადის უკვე და ჩამოსულ-დამხვდურნი ისე შეეხმატკბილნენ ერთმანეთს, თითქოს მთელი ცხოვრება ერთად გაეტარებინოთ. მეგობრობა და ერთგულება უმსუბუქებთ იმ ცხოვრებისეულ სირთულეებს, ახალ სოფელში დასახლებას რომ სდევს თან.

ერთ წელიწადში ბავშვებთან მუშაობამ უკვე გამოიღო სასიკეთო შედეგი. უდაბნოელი ბავშვები ახლა შესაშურ მეტოქეობას უწევენ საგარეჯოელ მოჭიდავეებს. უკვე ჰყავთ რაიონის პირველობის მეორე და მესამე პრიზიორები. მით უმეტეს, საგარეჯოელ მოჭიდავეებთან მეტოქეობაში მოპოვებული პრიზიორობა სახუმარო არ არის. უფრო მეტიც, უდაბნოელმა ბავშვებმა საქართველოს პირველობაშიც მიიღეს მონაწილეობა და ორი საპრიზო ადგილი მოიპოვეს. ახლა ერთი დიდი საქმის მოლოდინში არიან უდაბნოელები. რაიონის ხელმძღვანელობამ საკითხი დასვა ზემდგომ ინსტანციაში, რომ უდაბნოში აშენდეს სპორტული კომპლექსი. დადებითი პასუხიც კარგახანია მოვიდა, მაგრამ მშენებლობის დაწყებაზე ჯერჯერობით არავინ ფიქრობს. უდაბნოელებს ეშინიათ, ვაი თუ ძველმა ბიუროკრატიამ დაადო თავისი ტორი, დააგვიანა ან ადგილზევე ჩაახშო კეთილი ჩანაფიქრი. არადა, როგორ დაამშვენებდა აქაურობას ახალი სპორტული მოედნები, დარბაზები, საცურაო აუზი...

**პირიბე გვარლიანი,**
**„ლელოს" კორ.**
სოფელი უდაბნო.

# მოკლედ

**თვრამეტმა** ნორჩმა ფოთელმა მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა ქალაქის საჭადრაკო კლუბში გამართულ ასპარეზობაში.

ტურნირი ჩატარდა შვეიცარიული სისტემით. შვიდივე ტური დაუმარცხებლად განვლო მე-2 სკოლის მესამე კლასის მოსწავლემ სერგო ყუფარაძემ და გაიმარჯვა კიდეც — 7 ქულა 7 შესაძლებლიდან.

II-III ადგილები 6-6 ქულით გაიყვეს თამაზ შერლულიამ (მე-5 სკოლის IV კლასის მოსწავლე) და ზურაბ გუნიამ (მე-2 სკოლის IV კლასის მოსწავლე). კოეფიციენტთა უკეთესი მაჩვენებლით II ადგილი თამაზ შურღულიას მიეკუთვნა.

**ტრისტან მანია**

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ქალთა შორის ჭადრაკში

# სტარტზე არიან კანონმდებლები

*მინდა მადლობა ვუთხრა საქართველოს, სტუმართმოყვარეობითა და კულტურით ცნობილ საქართველოს, იმისთვის, რომ მან ჭადრაკს აჩუქა თავისი საუცხოო ასულები. საქართველო რომ არა, ქალთა ჭადრაკის სამყარო ალბათ... არც იქნებოდა. განუზომელია ქართველი ქალების წვლილი ამ ბრძნული თამაშის საერთო განვითარებაში.*

ინეკა ბაკერი (ჰოლანდია),
ფიდე-ს გენერალური მდივანი.
თბილისი, 1 დეკემბერი, 1975 წ.

**დღეს** ჭადრაკის სასახლე ფართოდ გაუღებს კარს ქალთა შორის საქართველოს ჭეშმარიტად ეროვნულ ჩემპიონატს, რომელსაც გაუზვიადებლად შეიძლება ეწოდოს „მსოფლიოს მცირე ჩემპიონატი", ვინაიდან მან თავი მოუყარა ჩვენი დროის გამოჩენილ დიდოსტატთა ბრწყინვალე თანავარსკვლავედს. სამი კვირის მანძილზე ჭადრაკის თაყვანისმცემელთა წინაშე გამოვლენ ერთ მტკიცე გუნდად შეკრული ჭადრაკის საქვეყნოდ აღიარებული კანონმდებლები. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დღევანდელ საჭადრაკო სამყაროში ქართული ფენომენი აშკარად გამორჩეული და უნიკალურია, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს თუ რა სასიამოვნო განცდები ელით ჭადრაკის სასახლეში მოსულ გულშემატკივრებს.

უკვე აღვნიშნეთ, რომ მოჭადრაკე ქართველ ქალთა კოლექტივი თავის რიგებში აერთიანებს მსოფლიოში გამოჩენილ დიდოსტატთა ბრწყინვალე თანავარსკვლავედს და ისინი სამართლიანად ითვლებიან ამ ბრძნული თამაშის საქვეყნოდ აღიარებულ კანონმდებლებად, მაგრამ თავის დროზე ამ ერთობ სწრაფ აღზევებას და შემდგომ ასევე სწრაფ განვითარებას კონკრეტული ეტაპები ჰქონდა. ამიტომ, მიზანშეწონილად ვთვლით შემოგთავაზოთ მცირე ექსკურსი წარსულიდან.

1956 წელი. თბილისის საჭადრაკო კლუბის ძველი შენობა უჩვეულოდ გამოიყურებოდა. აქ მიმდინარე საქართველოს ქალთა ღია ჩემპიონატის ლიდერის, პირველთანრიგოსან ნონა გაფრინდაშვილისა და საერთაშორისო ოსტატ ოლგა იგნატიევას შეხვედრის სანახავად მოსული მაყურებელი ვერ დაიტია არამცთუ კლუბის ცენტრალურმა დარბაზმა, არამედ ყველა სადემონსტრაციო და სამოსწავლო ოთახიც გაიჭედა გულშემატკივრებით. მანამდე ნონას აქტივში ჰქონდა 11 გამარჯვება 11 შეხვედრიდან (მათ შორის მოსკოველ ოსტატ ვოიცეკთანაც). საერთაშორისო ოსტატის დიდი მეცადინეობის მიუხედავად, გადადებული პარტიის დამთავრებისას იგი იძულებული გახდა ყაიმს დასჯერებოდა.

თბილისის 68-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლემ 15 წლის ნონა გაფრინდაშვილმა ბრწყინვალედ განვლო მთელი ტურნირი და დიდებული შედეგით — 15,5 ქულა 16 შეხვედრიდან! — რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება მოიპოვა. III ადგილზე გავიდა საბჭოთა კავშირის 1954 წლის ჩემპიონი გოგონათა შორის, თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის I კურსის სტუდენტი მანანა ტოგონიძე. ამას მოჰყვა 1956 წლის საკავშირო პირველობის ნახევარფინალი (იგი ასევე თბილისში გაიმართა). ნონა გაფრინდაშვილმა აქაც შესანიშნავად იასპარეზა — 11,5 ქულა 15-დან და კვლავ I ადგილი მოიპოვა (II ადგილი წილად ხვდა მანანა ტოგონიძეს).

ჩვენ შემთხვევით არ გავიხსენეთ საქართველოს 1956 წლის საჭადრაკო ცხოვრების ეს ორი ეპიზოდი, თუმცა თავისი რანგით არც პირველი და არც მეორე შეჯიბრება, კაცმა რომ თქვას, არ განეკუთვნება მნიშვნელოვანთა რიცხვს. საქმე ისაა, რომ ეპიზოდებად მონათლული 1956 წლის ეს ორი შეჯიბრება სცილდება ჩვეულებრივი, რიგითი ტურნირების ჩარჩოებს და ამ პერიოდს სამართლიანად შეიძლება ეწოდოს საეტაპო მოვლენა, რომ სწორედ აქ დაედო სათავე თვისობრივად ახალ ჰეგემონიას, რომელიც სულ მალე „ქართული ფენომენის" სახელით შევიდა ჭადრაკის ისტორიაში.

1956 წლის შემდეგ დიდ დროს არ გაუვლია, რომ ნონამ ჯერ ბრწყინვალედ იასპარეზა იუგოსლავიის ქალაქ ვრნიაჩკა-ბანიაში გამართულ მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირში (I ადგილი, დაუმარცხებლად), შემდეგ ასევე იოლად დაამსხვრია „ვეტერანთა ციხე-სიმაგრე" და დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი, მოსკოველი ელისაბედ ბიკოვა. ამას მოჰყვა მეორე ქართველი დიდოსტატის ნანა ალექსანდრიას გამობრწყინება და მერე...

მერე რაც მოხდა, თქვენც კარგად იცით, ძვირფასო მკითხველებო...

ახლა კი გვინდა რამდენიმე მნიშვნელოვან პერიოდსაც მივაგოთ ჯეროვანი პატივი. კერძოდ, ყველაფერი ზემოხსენებული, ბუნებრივია, თავისთავად კერ მოვიდოდა, ამ ბრძნული თამაშისთვის სათავე რომ არ დაედოთ ჭადრაკზე უზომოდ შეყვარებულ 30-40-იანი წლების „პიონერებს" — ელენე ზაუტაშვილს, ლილი გელოვანს, ბერტა კრეზბერგს, ვარვარა ზარგარიანს, ქსენია გოგიავას. პირველმკვლევთა გატაცებასა და პატრიოტულ თაოსნობას ღირსეული გამგრძელებლები გამოუჩნდნენ — ელისო კაკაბაძე, ალა ჩაიკოვსკაია, ლეილა ნაჭყებია, ლილი წეროძე, ციცინო კახაბრიშვილი (ყველაზე მეტჯერ — 5-ჯერ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული), ლიანა ჩაჭაპურიძე. მერე კი საქართველოში ქალთა ჭადრაკის შემდგომი განვითარების სადავეები, ნონა გაფრინდაშვილის ლიდერობით, „უცერემონიოდ იგდო ხელთ" სრულიად ახალგაზრდა ნიჭიერმა თაობამ — მანანა ტოგონიძემ, თამარ ხუგაშვილმა, ციური კობაიძემ, ნანა ალექსანდრიამ. მოგვიანებით მათ მხარი დაუმშვენეს ნანა იოსელიანმა, მაია ჩიბურდანიძემ (დღევანდელი მსოფლიო ჩემპიონი), ნინო გურიელმა, ქეთევან არახამიამ, ქეთევან კახიანმა და...

დღეს ქართული ჭადრაკის ბედი საიმედო ხელშია.

ახლა კი ორიოდე სიტყვა ყველაზე მთავარზე — აღსდგა ძველი ტრადიცია, წლევანდელი ჩემპიონატი ნამდვილად სრულიად ეროვნულია, ვინაიდან მასში ყველა ჩვენი წამყვანი დიდოსტატი მონაწილეობს (მაია ჩიბურდანიძის გარდა), მაგრამ ვერც კი მოგვიგონებია, თუ უკანასკნელად როდის ჩატარდა შინაური პირველობა სრული შემადგენლობით. არადა, სწორედ შინაური ჩემპიონატები იყო თავის დროზე, ჩვენი ღრმა რწმენით, საქართველოში ქალთა ჭადრაკის წინსვლისა და განვითარების ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი და დღეს, განსაკუთრებით დღეს, როდესაც მთელი ერის ძალისხმევა მიმართულია ერთი მიზნის მისაღწევად — ერის სრული სუვერენიტეტის მოსაპოვებლად, ამ ტრადიციის აღდგენა ორმაგად მისასალმებელი და სასიხარულოა.

1990 წლის ჩემპიონატის მონაწილენი:

ნონა გაფრინდაშვილი
ნანა ალექსანდრია
ნანა იოსელიანი
ნინო გურიელი
ქეთევან არახამია
ქეთევან კახიანი
სოფიკო ნიკოლაძე
ქეთევან მელაშვილი
ინგა ხურცილავა
ლია ხადუნიშვილი
ციური კობაიძე
თამარ ხუგაშვილი
ციალა ქასოშვილი
თეა ლანჩავა

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
უმაღლესი ჯგუფი

● საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის პირველ ტურში მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა 7 შეხვედრა, ერთ მატჩში აღინიშნა ფრე და მხოლოდ ერთი შეხვედრა მოიგეს სტუმრებმა. მეორე ტურში მასპინძლებმა მოიგეს ორი მატჩი, სამი შეხვედრა დამთავრდა ფრედ, ოთხში კი გაიმარჯვეს სტუმრებმა.

● გასულ ორ ტურში გაფრთხილება მიიღო ათმა ფეხბურთელმა. აქედან ოთხი ყვითელი ბარათი უჩვენეს ფეხბურთელებს ლანჩხუთის „გურიისა" და გორის „დილას" პირველი ტურის მატჩში.

● ჩემპიონატში მონაწილე 18 გუნდიდან გოლი არ გაუშვიათ ლანჩხუთის „გურიას", ფოთის „კოლხეთს", სამტრედიის „სანავარდოს", ოზურგეთის „ოზურგეთს", ბათუმის „ბათუმს". ამ გუნდების კარს იცავდნენ: „გურია" — ქანთარია, ფოთის „კოლხეთი" — [illegible]სალია, „სანავარდო" — [illegible], „ბათუმი" — ბალაძე, „ოზურგეთი" — დუმბაძე, [illegible].

● ჯერ ბურთი გატანილი არა აქვს სამ გუნდს — გორის „დილას", ოჩამჩირის „ამირანს" და ცხინვალის „ლიახვს".

● მეორე ტურის მატჩში, რომელშიც „გურია" ცხინვალის „ლიახვს" მასპინძლობდა, ლანჩხუთელმა ო. კორძაიამ ოთხი ბურთი გაიტანა და დაწინაურდა ბომბარდირთა „დავაში".

● რესპუბლიკის ჩემპიონატის მესამე ტურის შეხვედრები გაიმართება ხუთშაბათს, 12 აპრილს. ერთმანეთს ხვდებიან: „ცხუმი" (სოხუმი) — „სამგურალი" (წყალტუბო), „ქუთაისი" (ქუთაისი) — „კოლხეთი" (ხობი), „ოზურგეთი" (ოზურგეთი) — „შევარდენი" (თბილისი), „სანავარდო" (სამტრედია) — „ოდიში" (ზუგდიდი), „გურია" (ლანჩხუთი) — „ამირანი" (ოჩამჩირე), „ბათუმი" (ბათუმი) — „ლიახვი" (ცხინვალი), „იბერია" (თბილისი) — დილა" (გორი), „მზიური" (გალი) — „გორდა" (რუსთავი), „ივერია" (ხაშური) — „კოლხეთი" (ფოთი).

## მსაჯთა რეესტრი

I ჯგუფი. III ტური.

„ცხუმი" (სოხუმი) — „სამგურალი" (წყალტუბო). გ. კალანდია, ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), მ. მირცხულავა (ლანჩხუთი).

„ქუთაისი" (ქუთაისი) — „კოლხეთი" (ხობი). გ. სეფიაშვილი, ო. გუნთაძე, ვ. ისაბეკოვი (თბილისი).

„ოზურგეთი" (ოზურგეთი) — „შევარდენი" (თბილისი). ვ. შელია, რ. ჩიქოვანი, ს. პრავოვი (გაგრა).

„სანავარდო" (სამტრედია) — „ოდიში" (ზუგდიდი). მ. მიმინოშვილი, ლ. ჩიტაია, მ. კობიაშვილი (თბილისი).

„გურია" (ლანჩხუთი) — „ამირანი" (ოჩამჩირე). რ. ტალიაშვილი, ზ. ლაცაბიძე, ვ. ხეჩოიანი (თბილისი).

„ბათუმი" (ბათუმი) — „ლიახვი" (ცხინვალი), ზ. ჯინჭარაძე, ა. წერეთელი, შ. თომაშვილი (თბილისი).

„იბერია" (თბილისი) — „დილა" (გორი). ა. მილჩენკო, ზ. მილჩენკო, ო. გაგუა (სოხუმი).

„მზიური" (გალი) — „გორდა" (რუსთავი). ე. სილაგავა, მ. მალაღურაძე, დ. მენთეშაშვილი (თბილისი).

„ივერია" (ხაშური) — „კოლხეთი" (ფოთი). ტ. ნიშნიანიძე, გ. ხეჩუაშვილი, ო. შალამბერიძე (თბილისი).

II ჯგუფი. III ტური.

„სულორი" (ვანი) — „ჩიხურა" (საჩხერე). შ. თომაშვილი, ა. წერეთელი (თბილისი), ზ. ჯინჭარაძე (ოზურგეთი).

„დურუჯი" (ყვარელი) — „ქართლი" (გორის რ-ნი). ე. გვარამაძე, გ. შავგულიძე, მ. გელავა (რუსთავი).

„სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „არაგვი" (დუშეთი). მ. მალაღურაძე, გ. სეფიაშვილი, ვ. ისაბეკოვი (თბილისი).

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მაღაროელი" (ჭიათურა). ო. გაგუა, ზ. მილჩენკო, ა. მილჩენკო (სოხუმი).

„მარგვეთი" (ზესტაფონი) — „კახეთი" (თელავი). გ. ხეჩუაშვილი, ე. სილაგავა, ტ. ნიშნიანიძე (თბილისი).

„სიონი" (ბოლნისი) — „ბახტრიონი" (ახმეტა). დ. მენთეშაშვილი, გ. შალამბერიძე, ლ. ჩიტაია (თბილისი).

„არმაზი" (მცხეთა) — „შუქურა" (ქობულეთი). ვ. ეჯიბია (თბილისი), გ. ბესტაევი, ი. ნოზაძე (გორი).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) — „იმერეთი" (ხონი). კ. წულუკიძე, გ. სანიკიძე (ბათუმი), დ. ჯიქია (ქობულეთი).

„ალაზანი" (გურჯაანი) — „საპოვნელა" (თერჯოლა). ვ. ალიევი, უ. ფურცელაძე, ი. კანდელაკი (თბილისი).

„სქური" (წალენჯიხა) — „დინამო" (გაგრა). მ. კობიაშვილი, ო. გუნთაძე, რ. გუნთაძე (თბილისი).

### ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატზე

**სსრ კავშირის** ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებმა (ასაკი 16-17 წელი) კიშინიოვში ევროპის ჩემპიონატის საპასუხო შესარჩევი შეხვედრა მოუგო იუგოსლავიის თანატოლთა გუნდს — 1:0.

მაგრამ ამავე გუნდების პირველ შეხვედრაში გაიმარჯვეს იუგოსლაველმა ჭაბუკებმა და გათამაშების შემდგომ ეტაპზეც ისინი გავიდნენ.

### შეიქმნა ვეტერანთა ნაკრები

**სსრ კავშირის** ფეხბურთის ფედერაციასთან შეიქმნა ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრები, რომელსაც ხელმძღვანელობს წარსულში გამოჩენილი ფეხბურთელი ი. ნეტო. ნაკრების შემადგენლობაში არიან ვ. ბანიკოვი, ვ. პონომარიოვი, ი. საბო, ე. ლოვჩევი, მ. გერშკოვიჩი, გ. ლოგოფეტი, ვ. კოლოტოვი, ს. ოლშანსკი, ნ. ოსიანინი, ა. იაკუბიკი, ს. რეშკო და სხვანი.

საბჭოთა ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრები გამართავს რამდენიმე საქველმოქმედო საერთაშორისო შეხვედრას. მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს თამაშებში, 4 მაისს საბჭოთა ნაკრები დანიაში ითამაშებს ადგილობრივ ვეტერანებთან, შემოდგომაზე კი შინ მოიწვევს მეტოქეს.

### I ლიგა

**გაიმართა** I ლიგის ფეხბურთში საკავშირო გათამაშების პირველი ტურის შეხვედრები: „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 0:0, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 0:3, „ზენიტი" (ლენინგრადი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 1:1, „ნეფთჩი" (ბაქო) — „კაირატი" (ალმა-ათა) 0:0, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „დინამო" (სტავროპოლი) 2:0.

# არა მარტო სიმრავლითა

**ერთი** შეხედვით საქართველოს X საიუბილეო სპარტაკიადის მოკრივეთა ტურნირს, რომელიც ქუთაისში ჩატარდა, კარგი პირი უჩანდა. თავად განსაჯეთ, რინგზე გამოსულ 126 მოკრივეთაგან 32 სპორტის ოსტატი, 20 პირველთანრიგოსანი, დანარჩენი სპორტის ოსტატობის კანდიდატები იყვნენ. ყველა მოელოდა, რომ სწორედ ეს კანდიდატები და თანრიგოსნები შეეცდებოდნენ ოსტატთა შევიწროებას და მაყურებელი საინტერესო ორთაბრძოლების მოწმე გახდებოდა. სამწუხაროდ, ცენტრალური სტადიონის ახალ დარბაზში მისული კრივის მოყვარულები გაწბილებულნი დარჩნენ, რადგან მონაწილეთა ნახევარი მოიხსნა შეჯიბრებიდან, ზოგი ექიმების მიერ, უმეტესობას კი, ასპარეზობისათვის მოუმზადებლობის გამო, მსაჯებმა არ მისცეს ბრძოლის გაგრძელების უფლება.

რა თქმა უნდა, ტურნირი ერთგვარად იმანაც დააკნინა, რომ მასში არ მონაწილეობდნენ ტყავის ხელთათმნის რესპუბლიკის წამყვანი ოსტატები ნიკო სეთური, ძმები ალბერტ და რუდიკ კაზანჯიანები, ხვიჩა ხდრიანი. მაგრამ იმ 32 სპორტის ოსტატს ხომ უნდა შეევსო ეს „ვაკუუმი" და ბრძოლის მაღალი კლასი ეჩვენებინა. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ისინი ამისათვის სრულიად მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ. მიზეზი ის გახლავთ, რომ ოსტატთა უმრავლესობა კარგა ხანია, რაც აქტიურ კრივს ჩამოცილებულია. ყოველ შემთხვევაში, ბოლო ხანს გამართულ საკავშირო თუ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში ფოთელების ი. სავოჩკინის, ვ. აბსარიძისა და აგრეთვე ქუთაისელების ზ. ჯავახაძის, თ. მესხაძისა და მ. ხურციძის გარდა, ისინი არ ჩანდნენ. იქნებ ეს იმის ბრალიცაა, რომ ჩვენში ერთგვარად ალმაცერად უყურებენ მოკრივეთა რესპუბლიკურ პირველობას. შარშანწინ მაგალითად, 30 სპორტსმენი მონაწილეობდა ჩემპიონატში. შარშან კი საერთოდ არ ჩატარებულა პირველობა, რამაც ბევრს, ეტყობა, გული აუცრუა და ეს ასპარეზობა ნაკლებად პრესტიჟული გახდა. ამის გამო ბევრმა თავი აარიდა ბრძოლებს, ზშირ შემთხვევაში კი პირველი გამარჯვების შემდეგ, რაც საპრიზო ადგილს უნაღდებდა, მსაჯთა კოლეგიას ავადმყოფობის ცნობას უდგენდა და ეთიშებოდა ასპარეზობას. მაგალითად, ასე ერთადერთი მოგებით და ისიც ახალბედასთან, ცხინვალელი ა. თედეევი ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

ორიოდე წლის წინ თბილისელი ჭაბუკი ნიკო ხორბალაძე იმედისმომცემ მოკრივედ ითვლებოდა. მას წარმატებები ჰქონდა საკავშირო და რესპუბლიკური მასშტაბის ასპარეზობებში. მაგრამ ქუთაისში ვერაფრით გამოიჩინა თავი. ყველაფერი ეს დამაფიქრებელი უნდა იყოს ჩვენი კრივის მესვეურებისათვის, პირველ ყოვლისა კი მწვრთნელებისთვის.

ერთკვირიანი ბრძოლების შედეგად გუნდური პირველობა მასპინძელ მოკრივეებს დარჩათ. მათ ოცდაათიოდე წლის წინანდელი წარმატება გაიმეორეს. მომდევნო ადგილებზე არიან: აფხაზეთის, ფოთის, რუსთავის, ჭიათურისა და თბილისის ნაკრები გუნდები.

კვარცხლბეკი: 48 კგ 1. გ. ციკარაშვილი (რუსთავი), 2. გ. თორღვაშვილი (ჭიათურა); 51. გ. დვალი (ტყიბული), 2. ჟ. აბრამიანი (თბილისი), 3. ზ. მეგრელიშვილი (ქუთაისი), გ. აბრამიშვილი (თელავი); 54. 1. ჯ. კაკაბაძე (ქუთაისი), 2. რ. ადამიანი (გორი), 3. ვ. კელემიდი (აფხაზეთი), ვ. აბსარიძე (ფოთი); 57. 1. ს. ჯაფარიძე (მესტია), 2. ვ. სლანოვი (სამხრეთ ოსეთი), 3. ტ. უზლიანი (აფხაზეთი), ზ. გაბაძე (საჩხერე); 60. 1. ზ. ჯავახაძე (ქუთაისი), 2. დ. ლაკოია (აფხაზეთი), 3. ა. თედეევი (სამხრეთ ოსეთი), ა. აკოფიანი (ახალციხე); 63,5. 1. ი. სავოჩკინი (ფოთი), 2. გ. კაპსუზიანი (აფხაზეთი), 3. გ. გელევინი (ქუთაისი), მ. გალუსტიანი (რუსთავი); 67. 1. თ. მესხაძე (ქუთაისი), 2. დ. ფარქოსაძე (ჭიათურა); 3. რ. ვალიევი (სამხრეთ ოსეთი), ბ. გურული (ტყიბული); 71. 1. ნ. სუხაშვილი [illegible], 2. მ. ხურციძე [illegible] ჩანეიშვილი (ვანი), გ. უზოევი (რუსთავი); 75. 1. ბ. შალიკიანი (ქუთაისი), 2. ვ. ცაციაშვილი (გორი), 3. გ. ნიგურიანი, ზ. ფალიანი (ორივე — მესტია).

81. ე. ჯულუხიძე (ქუთაისი), 2. დ. ქელეხსაშვილი (რუსთავი), 3. ე. ნინუა (აფხაზეთი), გ. კუტავა (სენაკი). 91. 1. ა. კალანჯიანი (აფხაზეთი), 2. ე. გაბრიჭიძე (ქუთაისი), 3. თ. ბუაძე (ჭიათურა), დ. ცქიფურიშვილი (ტყიბული); +91. 1. ჯ. ცუხიაშვილი (საჩხერე), 2. დ. დანელია (ქუთაისი), 3. მ. აჯიაშვილი (ფოთი), ა. ბიბილური (თბილისი).

ჰ. უნგიაძე.

## კალათბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატი



### მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**კალათბურთელ** ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი გადატანილია. ამიტომ მონაწილეთა მდგომარეობის ზუსტი სურათის დადგენა ცოტა ძნელია და მაინც, ლიდერებსა და აუტსაიდერებზე ლაპარაკი ახლავე შეიძლება. თუმცა მთავარი ბრძოლები წინაა და სატურნირო ცხრილებშიც ალბათ სათანადო ცვლილებები იქნება შესატანი.

კვლავ რთულად დგას ასპარეზობაზე მსაჯთა მიზიდვის საკითხი. განსაკუთრებით ძნელია კანდიდატურათა შერჩევა გასვლით შეხვედრებზე. ზოგი მსაჯი, ამა თუ იმ მიზეზით, თავს არიდებს პირდაპირი მოვალეობის შესრულებას. ყველაფერი ეს უსათუოდ უნდა მოგვარდეს. რესპუბლიკურ ჩემპიონატს, პირველ ყოვლისა, კვალიფიციური მსაჯები უნდა მოემსახურონ.

ახლა შედეგების შესახებ:

**17 მარტი. ქუთაისი — „აზოტი“ (რუსთავი) 88:76 (48:27).**

მსაჯები გ. ჩხარტიშვილი და შ. ჯავახიშვილი.

**18 მარტი. ქუთაისი — „აზოტი“ (რუსთავი) 98:84 (49:34).**

მსაჯები გ. ჩხარტიშვილი და გ. ომიაძე.

**17 მარტი. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი (სოხუმი) — „მართვე“ (თბილისი) 88:57 (31:17).**

მსაჯები თ. ოქრუაშვილი და მ. ლამბრიანიდი.

**18 მარტი. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი (სოხუმი) — „მართვე“ (თბილისი) 70:88 (48:37).**

მსაჯები თ. ოქრუაშვილი და მ. ლამბრიანიდი.

**17 მარტი. „დინამო“ (თბილისი) — „შევარდენი“ (თბილისი) 77:90 (39:50). მსაჯები ხ. მაღალაშვილი (საკავშირო კატეგორია) და ვ. გოლოვანოვი (საკავშირო კატეგორია).**

**„დინამო“:** ლომთაძე (24), ბიჭიაშვილი (18), მახარაძე (13), კირვალიძე (10), ჩხეიძე (5), სიხარულიძე (3,) სარალიძე (2), შუხოშვილი (2).

**„შევარდენი“:** ძიძავა (21), რაზმაძე (15), დონაძე (13), შავლოხოვი (10), ცაგარეიშვილი (9), კობახიძე (9), წულაია (5), კორძაია (4), ნუცუბიძე (2), გაჩეჩილაძე (2).

**18 მარტი. „დინამო“ (თბილისი)—„შევარდენი“ (თბილისი) 74:103 (34:51). მსაჯები ვ. გოლოვანოვი (საკავშირო კატეგორია), და ხ. მაღალაშვილი (საკავშირო კატეგორია).**

**„დინამო“:** ბიჭიაშვილი (17), მახარაძე (14), შუხოშვილი (12), ლომთაძე (10), ღუდუშაური (7), სიხარულიძე (6), ჩხეიძე (4), გურგენიძე (4).

**„შევარდენი“:** ძიძავა (29), გაჩეჩილაძე (16), ცაგარეიშვილი (9), კობახიძე (9), შავლოხოვი (8), აბულაშვილი (7), წულაია (6), რაზმაძე (6), ჩიხლაძე (6), დონაძე (4), ნუცუბიძე (3).

**21 მარტი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი)—სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი) 86:82 (36:40). მსაჯები გ. ავალიშვილი (საერთაშორისო კატეგორია), რ. გელოვანი (საკავშირო კატეგორია).**

**ტექნიკური უნივერსიტეტი:** ზ. ცაგარეიშვილი (21), გოგელია (16), ვაშაკიძე (14), გეგეშიძე (11), გიორგობიანი (10), სხიერელი (6), გაბრიჩიძე (3), პეტრიაშვილი (3), კოტრიკაძე (2).

**სახელმწიფო უნივერსიტეტი:** ბერუაშვილი (28), კ. ქართველიშვილი (16), ტალაბაძე (10), კოკოლიშვილი (9), ტურაშვილი (6), გ. ქართველიშვილი (5), ხელაშვილი (2), რევაზიშვილი (2), ახვლედიანი (2).

**24 მარტი. „სინათლე“ (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 77:115 (39:58). მსაჯები ხ. მაღალაშვილი (საკავშირო კატეგორია) და ვ. გოლოვანოვი (საკავშირო კატეგორია).**

**„სინათლე“:** ლეონტიევი (17), პ. ჩაჩხიანი (16), მუყარაშვილი (12), გოგიბედაშვილი (10), რ. ჩაჩხიანი (8), ქამუშაძე (7), დვალიშვილი (3), ჩაჩანიძე (3), ჭიჭინაძე (1).

**ფიზკულტურის ინსტიტუტი:** დადიანი (31), კობეშავიძე (26), უძილაური (20), ინაური (17), ხომერიკი (6), ჩერქეზიშვილი (6), მაისურაძე (5), მოველიძე (4).

**25 მარტი. „სინათლე“ (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 61:93 (25:45). მსაჯები ვ. გოლოვანოვი (საკავშირო კატეგორია) და ხ. მაღალაშვილი (საკავშირო კატეგორია).**

**„სინათლე“:** პ. ჩაჩხიანი (15), გოგიბედაშვილი (15), ლეონტიევი (9), ქამუშაძე (8), მუყარაშვილი (6), ჩაჩანიძე (6), ჭიჭინაძე (2).

**ფიზკულტურის ინსტიტუტი:** უძილაური (24), დადიანი (20), ინაური (16), მოველიძე (13), მაისურაძე (8), კობეშავიძე (5), მოლოდინაშვილი (4), ხომერიკი (3).

**24 მარტი. „ტბეთი“ (ბათუმი) — ჭიათურა 72:52 (31:26).**

მსაჯები მ. ლამბრიანიდი და ა. ავერინი.

**25 მარტი. „ტბეთი“ (ბათუმი)—ჭიათურა 83:51 (48:22).**

მსაჯები: მ. ლამბრიანიდი და ა. ავერინი.

**31 მარტი. სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი) — „დინამო“ (თბილისი) 99:78 (48:32). მსაჯები ხ. მაღალაშვილი (საკავშირო კატეგორია) და გ. გრიგორიანი.**

**სახელმწიფო უნივერსიტეტი:** ტალაბაძე (29), ახვლედიანი (16), ხელაშვილი (15), ბერუაშვილი (10), კოხრეიძე (10), კ. ქართველიშვილი (10), ტურაშვილი (9).

**„დინამო“:** ბიჭიაშვილი (14), მახარაძე (11), შუხოშვილი (11), გურგენიძე (7), კირვალიძე (8), ლომთაძე (8), სარალიძე (8), ქევხიშვილი (5), სიხარულიძე (4), ჩხაიძე (2).

**1 აპრილი. სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი) — „დინამო“ (თბილისი) 116:88 (56:47). მსაჯები ა. როსტომაშვილი (საკავშირო კატეგორია) და გ. გრიგორიანი.**

**სახელმწიფო უნივერსიტეტი:** ახვლედიანი (27), ტალაბაძე (23), კ. ქართველიშვილი (20), კოხრეიძე (17), ხელაშვილი (9), შარაძე (8), გვარამია (4), ბერუაშვილი (4), ტურაშვილი (4).

**„დინამო“:** ბიჭიაშვილი (16), მახარაძე (15), ლომთაძე (11), კირვალიძე (10), ქევხიშვილი (9), გურგენიძე (7), შუხოშვილი (6), ღუდუშაური (5), კახაბრიშვილი (4), სარალიძე (2), ჩხაიძე (2), სიხარულიძე (1).

**31 მარტი. „სინათლე“ (თბილისი) — „ტბეთი“ (ბათუმი) 80:78 (38:43). მსაჯები ხ. მაღალაშვილი (საკავშირო კატეგორია) და ა. როსტომაშვილი (საკავშირო კატეგორია).**

**„სინათლე“:** ჯამარჯაშვილი (20), პ. ჩაჩხიანი (18), ლეონტიევი (17), ქამუშაძე (10), სინჯარაძე (9), ჩაჩანიძე (6),

**„ტბეთი“:** შერვაშიძე (22), ზოიძე (13), კოლცოვი (12), ლოლიშვილი (12), ქლენტი (6), ბერიძე (6), მაღრაძე (5), სოლომახინი (2).

„სინათლის“ მოთამაშე ქამუშაძე არასპორტული საქციელისთვის გააძევეს მოედნიდან.

**1 აპრილი. „სინათლე“ (თბილისი) — „ტბეთი“ (ბათუმი ) 86:65 (48:34). მსაჯები რ. ხომერიკი (საერთაშორისო კატეგორია) და ხ. მაღალაშვილი (საკავშირო კატეგორია).**

**„სინათლე“:** ლეონტიევი (19), მუყარაშვილი (17), ჯამარჯაშვილი (17), სინჯარაძე (14), ჩაჩანიძე (8), პ. ჩაჩხიანი (7), დვალი (4).

**„ტბეთი“:** კოლცოვი (22), ლოლიშვილი (15), შერვაშიძე (9), სოლომახინი (8), ზოიძე (4), მაღრაძე (3), შარაძე (2), დიხამიძე (2).

**31 მარტი. „შევარდენი“ (თბილისი) — ქუთაისი 79:78 (50:39). მსაჯები რ. გელოვანი (საკავშირო კატეგორია) და ზ. ზამთარაძე.**

**„შევარდენი“:** ძიძავა (34), შავლოხოვი (11), ცაგარეიშვილი (9), კობახიძე (7), დონაძე (4), გაჩეჩილაძე (4), რაზმაძე (4), ნუცუბიძე (2), აბულაშვილი (2), კორძაია (2).

**ქუთაისი:** გოქსაძე (18), გუბელაძე (17), ბუაძე (17), აფრიდონიძე (11), ხაბულიანი (8), ქათამაძე (2).

**1. აპრილი. „შევარდენი“ (თბილისი) — ქუთაისი 85:88 (38:43). მსაჯები ხ. მაღალაშვილი (საკავშირო კატეგორია) და ზ. ზამთარაძე.**

**„შევარდენი“:** ძიძავა (24), დონაძე (12), ცაგარეიშვილი (12), რაზმაძე (12), წულაია (5), ჩიხლაძე (5), აბულაშვილი (5), გაჩეჩილაძე (4), კობახიძე (4), კორძაია (2).

**ქუთაისი:** გუბელაძე (19), აფრიდონიძე (18), ხაბულიანი (17), გოქსაძე (15), ქათამაძე (11), გუმბერიძე (8).

# გიუნტერ ნეცერი— უბურთოდ

**70-იანი** წლების მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ნახევარმცველად მიჩნეული იყო დასავლეთ გერმანიის ნაკრების წევრი გიუნტერ ნეცერი. ბუნდესლიგის 230 მატჩში ლიგის მიონხენგლადბახის „ბორუსიის“ წევრმა, გიუნტერ ნეცერმა 82 გოლი გაიტანა. იგი 1972, 1973 წლებში ბუნდესლიგის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. 3 სეზონი ნეცერმა მადრიდის „რეალში“ ითამაშა. გფრ-ის ნაკრებში მას „გერმანიის ყველა დროის ყველაზე დიდ ქერათმიანს“ უწოდებდნენ. ნეცერი ევროპის 1972 წლისა და მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონია. დღეს 45 წლის გიუნტერ ნეცერი შვეიცარიაში ცხოვრობს და სარეკლამო ბიზნესით არის დაკავებული. ინტერვიუ, რომელიც ახლახანს დაიბეჭდა „იუნგეველტის“ (გდრ) ფურცლებზე, არ შეეხება ფეხბურთს...

● **რა არის თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?**

— ახალი მსოფლიო ომის დაწყება.

● **ბედნიერება?**

— როდესაც ჩემი ოჯახის ყველა წევრი ბედნიერია.

● **სად გირჩევნიათ ცხოვრება?**

— ამჟამად თავს კარგად ვგრძნობ შვეიცარიაში.

● **ვისი პატიება შეგიძლიათ უპირველეს ყოვლისა?**

— ვინც იღებს გადაწყვეტილებას, რადგან ეს გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო კეთილი არ არის.

● **ვინ მიგაჩნიათ დღევანდელი დროის გმირებად?**

— გდრ-ის მოსახლეობა.

● **თქვენი საყვარელი ისტორიული პიროვნება?**

— არავინ.

● **ვის ანიჭებთ უპირატესობას მხატვრებს შორის?**

— დღევანდელ პირობებში ე. წ. „ველურ“ მხატვრობას...

● **მუსიკის რომელი ჟანრი გიტაცებთ?**

— როკი და პოპ-მუსიკა.

● **რა თვისებებს აფასებთ ადამიანში?**

— სიმართლესა და საქმისადმი ერთგულ დამოკიდებულებას.

● **თქვენი ყველაზე დიდი მინუსი?**

— საკუთარი გულწრფელობა.

● **რა ან ვინ გინდათ რომ ყოფილიყავით?**

— კერპი არ მყავს, რომელსაც მივბაძავდი.

● **თქვენი ყველაზე დიდი შეცდომა?**

— გამოვსწორდი, მაგრამ ხანდახან იმპულსური ვხდები.

● **გაქვთ თუ არა რაიმე განსაკუთრებული ოცნება?**

— არავითარი.

● **რისი გეშინიათ ყველაზე უფრო?**

— პოლიტიკური განვითარებისა და ომის წარმოქმნისა.

● **რომელ ფერს ანიჭებთ პრიორიტეტს?**

— შავს.

● **ყვავილებს შორის...**

— ვარდს.

● **ფრინველთაგან...**

— ნამდვილი ფსიქოგრამაა — არწივი.

● **მწერლებიდან ვის დაგვისახელებდით?**

— წიგნებს არ ვკითხულობ.

● **რას ვერ იტანთ ყველაზე უფრო?**

— ომსა და ძალადობას.

● **რა ზებუნებრივი ნიჭით გინდათ რომ იყოთ დაჯილდოვებული?**

— არანაირი. ვიყო ისეთი, როგორიც ვარ.

● **[illegible] „ამჯობი-[illegible]**

— ძილში...

● **რა არის თქვენი მაქსიმუმი?**

— არ ვიყო იმაზე მეტი, რაც ვარ. არ ვესწრაფვი მწვერვალების დაპყრობას.

მასალა მოამზადა
**მალხაზ რადიანმა.**

## ნებიოლო მხარს უჭერს

**მოყვარულ** მძლეოსანთა საერთაშორისო ფედერაციის თავკაცი პრიმო ნებიოლო მხარს უჭერს ორი გერმანიის ოლიმპიური გუნდის გაერთიანების იდეას. მან ამავე დროს განაცხადა, რომ ყველა ღონეს იხმარს, რათა მსოფლიოს 1991 წლის ჩემპიონატში, რომელიც ტოკიოში გაიმართება, გერმანიამ მძლეოსანთა გაერთიანებული გუნდი გამოიყვანოს.

ნებიოლო, რომელიც ამავე დროს ზაფხულის ოლიმპიურ სახეობათა საერთაშორისო ფედერაციების ასოციაციის პრეზიდენტად ითვლება, ფიქრობს, რომ ამ იდეას პრინციპული მოწინააღმდეგეები არ ეყოლება. ერთადერთი პრობლემა მისი აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ გუნდის გაერთიანება, თავისთავად ორი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გაერთიანებას გულისხმობს. ამას კი გარკვეული დრო და დიდი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება დასჭირდება.

## „სპორტლოტო“

**8 აპრილს** გაიმართა „სპორტლოტოს“ 1990 წლის მე-14 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 2 (ბიატლონი), 8 (ველორბოლა, ტრეკი), 32 (ფიგურული ციგურაობა), 37 (აკრობატიკა), 43 (ტურიზმი), 45 (შში).

**„სპორტლოტო 5 36“-დან;** 11 (ფრენბურთი), 19 (სათხილამურო რბოლები), 23 (თხილამურებით ხტომა და ორჭიდი), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 30 (ძალოსნობა).



თბილისის ცენტრალური სტადიონი

ა. წერეთლის გამზირი №2

**12 აპრილი ფეხბურთი**

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

„იბერია“ (თბილისი) — „დილა“ (გორი)

დასაწყისი 19 საათზე

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 10, 11 და 12 აპრილს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე), ხოლო ორგანიზაციებში — 11 და 12 აპრილს.

## ჯენიფერ კაპრიატი არ ხუმრობს

**ჰილტონ** ჰედ აილენდი (აშშ). 14 წლის ამერიკელი გოგონა ჯენიფერ კაპრიატი თანამედროვე ჩოგბურთის ჭეშმარიტ საოცრებად ითვლება. სულ მოკლე დროში მან უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეულის რამდენიმე წევრს სძლია და ახლაც წარმატებით გამოდის ამერიკის ამ ქალაქში მიმდინარე ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდი ნახევარმილიონ დოლარს შეადგენს.

ნახევარფინალში ამ „საოცრება-გოგონას“ მეტოქე იყო საბჭოთა კავშირის ნომერი პირველი ჩოგანი ნატალია ზვერევა. კაპრიატიმ ეს მეტოქეც ჩამოიცილა გზიდან (6:0, 6:4) და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. საინტერესოა, რომ პირველ პარტიაში გამარჯვებას ამერიკელმა სულ რაღაც 17 წუთი მოანდომა.

ფინალის მეორე მონაწილე იქნება ამერიკელი მარტინა ნავრატილოვა, რომელმაც აქ ერთი გამარჯვება უკვე მოიპოვა. წყვილთა ტურნირის გადამწყვეტ შეხვედრაში ესპანელ არანტა სანჩესთან ერთად აჯობა ნატალია ზვერევა-მერსედეს პასის (ესპანეთი) დუეტს.

რედაქტორის მოადგილე
**უ. ჭიჭინაძე.**

საქართველოს სპორტსახკომის ჭიდაობის ექსპერიმენტულ რესპუბლიკური გაერთიანება და სამბოს რესპუბლიკური ფედერაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი

ვალერიან (ვალიკო) ვლადიმერის ძე [illegible]

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი: [illegible] — 380096, თბილისი, [illegible] ქ. 14, [illegible] — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები: [illegible] — 93-97-55, [illegible] — 93-97-58, [illegible] — 93-97-56, „ლელო“ — 93-97-69, „[illegible]“ — 93-97-97.

[illegible] 00485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის [illegible] სტამბა. 380096, თბილისი, [illegible] ქ. 14, [illegible]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08779